ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი უდიდებულესობა ფეხბურთი

მსოფლიოს XV ჩემპიონატი

ლელო

17–24 ივნისი, 1994 წ.
№18 (10886) ● ფასი 45 000 კუპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დიდი საფეხბურთო ზეიმი!

ფეხბურთი რთული ამოცანაა. ეს ამოცანა, გადაუწყვეტი და დაუძლეველი, მარადჟამს აწუხებს ათასობით, ასიათასობით, მილიონობით ადამიანს. დედამიწის ზურგზე, ალბათ, არ არსებობს თუნდაც სულ მიგდებული კუთხე-კუნჭული, ფეხბურთს რომ არ თამაშობდნენ, არ დაობდნენ, პროგნოზებით არ ერთობოდნენ, ძველ, განვლილ ამბებს სინანულით არ იხსენებდნენ და მომავალზე არ კამათობდნენ. ეს საყოველთაო, მოარული თემაა, ფეხბურთმა აიტაცა ხალხი.

როგორც სხვა ყველაფერი, არის დიდი ფეხბურთი და არის მცირე ფეხბურთი. რა თქმა უნდა, დიდი ფეხბურთი ყველასათვის საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, იგი უამრავ პრობლემას წამოჭრის, ამ პრობლემებზე გადაყოლილია ფეხბურთის მოყვარულთა დიდი, ურიცხვი არმია.

დღეს არა გვგონია იყოს ვინმე ფეხბურთთან ოდნავ მაინც მიახლოებული, რომ არ აინტერესებდეს: ვინ მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონის წოდებას, ვინ იქნება ის უპირველესი ფავორიტი, ვინც უახლოესი ოთხი წლით დაეუფლება პლანეტის უძლიერესი გუნდის ტიტულს და ფეხბურთის მართვის სადავეებს ჩაიგდებს ხელთ, იქნება მისი მოდისა და კანონების გამგებელი.

დღემდე, რაც კი ფეხბურთის ისტორია გვახსოვს, შემთხვევიდან და უცაბედი მსოფლიო ჩემპიონი სამყაროს არა ჰყოლია. სხვადასხვა პერიოდში ურუგვაელები, იტალიელები, ბრაზილიელები, ინგლისელები, გერმანელები, არგენტინელები ახალი ტაქტიკური მოდელისა და ნოვაციების შემქმნელნი და გამგებელნი იყვნენ, დიდი ღვაწლი შეიტანეს ფეხბურთის განვითარებასა და პროგრესში, აგრეთვე, უნგრეთმა, ჰოლანდიამ, საფრანგეთმა, ესპანეთმა, სკანდინავიამ, თუმცაღა ისინი ჩემპიონები არ ყოფილან. ახლა, ბოლო ხანებში თამამად გამოდიან ფართო ასპარეზზე აფრიკის, აზიის კონტინენტების ქვეყნები, ისინიც, უდავოდ, აქტიურად ჩაერევიან აღიარებულ ლიდერთა უშელაგათო ბრძოლაში.

თვით მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთის გვირგვინია, თავისი მნიშვნელობით და საყოველთაო პოპულარობით იგი ოლიმპიურ თამაშებს თუ ჩამორჩება. ეს ცენტრალური სპორტული მოვლენაა, მსოფლიოს ადამიანთა თვალი, ყური და ინტერესები ახლა ამერიკის შეერთებული შტატებისკენაა მიპყრობილი, სადაც ზუსტად ერთი თვის მანძილზე უდიდესი საფეხბურთო ბატალიები წარიმართება მწვანე მინდვრებზე. მადლობა ღმერთს, XX საუკუნის ცივილიზაციამ გვაჩუქა ტელევიზია და მის ეკრანებზე ბევრ საყურადღებოს, საინტერესოს და სალაღობოსაც ვიხილავთ. კანონზომიერი, ლოგიკური მოვლენებიც საკმაოდ იქნება და კურიოზებიც, მოულოდნელობებიც. ფეხბურთი იმითაც არის საინტერესო, რომ მას სიახლე და უჩვეულობა არ მოაკლდება არასოდეს. ვინ — ვის, ეს გადაუჭრელი საკითხია მუდამ.

სხვათა შორის, ცნობილი ფეხბურთის მიმომხილველი და თეორეტიკოსი ფრანგი გაბრიელ ანო რამდენიმე ათეული წლის წინათ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას სთავაზობდა მსოფლიო ჩემპიონატების ერთ უწყვეტ ციკლად გათაზაშებას. ყველა საერთაშორისო შეხვედრა ამ ციკლის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო, გარკვეულ პერიოდებში ამ შეხვედრათა შედეგები შეჯამდებოდა, მსოფლიო ჩემპიონიც გამოვლინდებოდა, მერე კი ახალი ციკლი დაიწყებოდა — შემდგომი გათამაშება.

არა! გაბრიელ ანოს პროექტს აშკარად აკლდა ის მშვენიერი მწვერვალი, ის აპოთეოზი, რომელიც ამჟამად არსებული გათამაშების უცილობელი ატრიბუტია. როცა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე უძლიერესი გუნდები ერთად იყრიან თავს, როცა უმთავრესი მოვლენები გაწელილი და დანაწევრებული კი არა, არამედ ერთ მოკლე პერიოდშია კონცენტრირებული ერთ ადგილას, ერთ ცენტრშია მოქცეული, როცა ყველაფერი ეს თვალსაჩინოდ ჩანს ყველასათვის და უახლოეს საფეხბურთო მიღწევათა დემონსტრაციაც ნათლად ხდება ყველას თვალწინ, როცა ჩემპიონატის საზეიმო [illegible] ახსნა და დაბურავ უდი-

იხ. მე.2-3 გვ.

კოლეგია დამტკიცდა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის კოლეგიის შემადგენლობა: კ. ასათიანი, ჯ. ბაგრატიონი, მ. მნათობიშვილი, თ. გურგენიძე, ო. გოგიაშვილი, გ. მათიაშვილი, ა. აბესაძე, თ. გაჩეჩილაძე, ვ. კანკავა, ა. ზუბბაია, თ. ხახვა.

19 ივნისს ჩატარდება სოკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი „რბენის ოლიმპიური დღე“. სტარტი 19 ივნისს 11 სთ-ზე ეროვნულ სტადიონიდან, ფინიში — თავისუფლების მოედანზე. რეგისტრაცია 17-18 ივნისს 10-დან 17 სთ-მდე ეროვნულ სტადიონზე. ორგანიზატორები: სოკი, მძლეოსნობის ფედერაცია და... „კოკა-კოლა“.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი

XIV ტური, 30 მაისი
I-X ადგილები

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ივერია“ (ხაშური) 6-0
„დილა“ (გორი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 1-1
„გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (თბილისი) 2-3
„დინამო“ (ბათუმი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 1-0
„ტორპედო“ (ქუთაისი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 3-1

XV ტური, 3 ივნისი

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 0-0
„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „დინამო“ (ბათუმი) 1-2
„სამტრედია“ (სამტრედია) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3-0
„დინამო“ (თბილისი) — „დილა“ (გორი) 2-0
„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „ივერია“ (ხაშური). „ივერია“ თამაშზე არ გამოცხადდა.

XVI ტური, 7 ივნისი

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 5-2
„ივერია“ (ხაშური) — „დინამო“ (თბილისი) 1-2
„დილა“ (გორი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 0-3
„გურია“ (ლანჩხუთი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 3-3
„დინამო“ (ბათუმი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 5-2

XI-XIX ადგილები

XIV ტური, 31 მაისი

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0-1
„კახეთი“ (თელავი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 7-4
„შუქურა“ (ქობულეთი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 3-2
„ალაზანი“ (გურჯაანი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 1-0

XV ტური, 4 ივნისი

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 3-1
„სამგურალი“ (წყალტუბო) — „კახეთი“ (თელავი) 3-1
„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2-1
„მეტალურგი“ (რუსთავი) — „მრეტები“ (თბილისი) 4-0

XVI ტური, 8 ივნისი

„მრეტები“ (თბილისი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3-3
„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1-1
„შუქურა“ (ქობულეთი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1-0
„კახეთი“ (თელავი) — „ოდიში“ (ზუგდიდი). „ოდიში“ თამაშზე არ გამოცხადდა.

მეხარდაჭერა

თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ვ. კანკავამ გვაცნობა: „თბილისის სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით განვიხილეთ გიორგი ნერეთლის ქუჩიდან ბაგებამდე მონაკვეთისათვის ნ. ენდელაძის სახელის მინიჭების შესახებ და ერთსულოვნად დავუჭირეთ მხარი ამ წინადადებას.“

მატჩი იბადანში

11 ივნისს ნიგერიის ქალაქ იბადანში, 50.000 მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ამ ქვეყნისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის.

ნიგერია 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მონაწილეა („D“ ჯგუფი). თამაში სტუმრების წარმატებით დაიწყო, ბურთი მეორე წუთზე გაიტანა რ. არველაძემ, მაგრამ ნიგერიელები ტაიმის დასასრულისათვის წინ იყვნენ უკვე ანგარიშით 2-1, შესვენების შემდეგ კი კიდევ 3 ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს — 5-1.

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ზოიძე (გრიშიკაშვილი), ბერაძე, ცხადაძე, შელია (ლობჟანიძე), გ. ჯიშკარიანი, კუდინოვი (დ. ჯალაღანია), ნემსაძე, ჯამარაული, რ. არველაძე, ქინქლაძე, ა. არველაძე (ინალიშვილი). მთავარი მწვრთნელი ა. ჩივაძე.

• • •

● სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ბრაზილიის სან-პაულუს შტატისა და ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი „პალმეირასი“ მოსკოვში ლ. იაშინის ხსოვნის ტურნირის შემდეგ ბათუმში ჩავა ასლან აბაშიძის მიწვევით და აქ 21 ივნისს შეხვდება საქართველოს ეროვნულ ნაკრებს.

მილოცვები

საქართველოს განათლების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვის მძლეოსნობის რესპუბლიკური სპორტული სკოლის თანამშრომლები დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავენ ამავე სკოლის დირექტორს რევაზ ოდიშარიას.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს განათლების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვის მძლეოსნობის რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორს რევაზ ოდიშარიას.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს ყოფილ თანამშრომელს, შესანიშნავ მწერალს და საყვარელ მეგობარს ნუგზარ შატაიძეს.

● „ლელოს“ სამაგიდო კომპიუტერის განყოფილება იღებს შეკვეთებს საგაზეთო და სხვა მასალების ანყობა-დაკაბადონებაზე.

● იყიდება ავტომანქანა „ჟოლგა“ — გაზ 24-10. ფასი შეთანხმებით. ტელ. 66-61-42; 66-73-04.

ლელო

17–24 ივნისი, 1994 წ.
№18 (10886) ● ფასი 45 000 კუპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

... ეროვნული ... ჩემპიონატი ... ფეხბურთში



პირველი ჯგუფი

XIV ტური, 30 მაისი
I-X ადგილები

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ივერია“ (ხაშური) 6-0
„დილა“ (გორი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 1-1
„გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (თბილისი) 2-3
„დინამო“ (ბათუმი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 1-0
„ტორპედო“ (ქუთაისი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 3-1

XV ტური, 3 ივნისი

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 0-0
„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „დინამო“ (ბათუმი) 1-2
„სამტრედია“ (სამტრედია) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3-0
„დინამო“ (თბილისი) — „დილა“ (გორი) 2-0
„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „ივერია“ (ხაშური). „ივერია“ თამაშზე არ გამოცხადდა.

XVI ტური, 7 ივნისი

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 5-2
„ივერია“ (ხაშური) — „დინამო“ (თბილისი) 1-2
„დილა“ (გორი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 0-3
„გურია“ (ლანჩხუთი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 3-3
„დინამო“ (ბათუმი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 5-2

XI-XIX ადგილები

XIV ტური, 31 მაისი

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0-1
„კახეთი“ (თელავი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 7-4
„შუქურა“ (ქობულეთი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 3-2
„ალაზანი“ (გურჯაანი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 1-0

XV ტური, 4 ივნისი

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 3-1
„სამგურალი“ (წყალტუბო) — „კახეთი“ (თელავი) 3-1
„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2-1
„მეტალურგი“ (რუსთავი) — „მრეტები“ (თბილისი) 4-0

XVI ტური, 8 ივნისი

„მრეტები“ (თბილისი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3-3
„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1-1
„შუქურა“ (ქობულეთი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1-0
„კახეთი“ (თელავი) — „ოდიში“ (ზუგდიდი). „ოდიში“ თამაშზე არ გამოცხადდა.

... ...

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები

ფინალური გათამაშების მონაწილეთა საძარბაზო ბარათები

აშშ

საფეხბურთო ასოციაცია ჩამოყალიბდა 1913 წელს, იმავე წლიდან ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრია.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა მიიღო ოთხჯერ: 1930 (III-IV ადგილი), 1934, 1950, 1990 წლებში.

ამ ეტაპზე გამართა ათი თამაში: 3 გამარჯვება, 0 ფრე, 7 წაგება. გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა 14-29.

გერმანია

ფეხბურთის ფედერაცია ჩამოყალიბდა 1900 წელს, ფიფაშია 1904 წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ითამაშა 12-ჯერ: 1934 (III), 1938, 1954 (I), 1958 (IV), 1962, 1966 (II), 1970 (III), 1974 (I), 1978, 1982 (II), 1986 (II), 1990 (I) წლებში.

ამ ეტაპზე გამართა 68 თამაში: +39, = 15, — 14, 145-90.

იტალია

ფეხბურთის ფედერაცია ჩამოყალიბდა 1898 წელს, ფიფაშია 1905 წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ითამაშა 12-ჯერ: 1934 (I), 1938 (I), 1950, 1954, 1962, 1966, 1970 (II), 1974, 1978 (IV), 1982 (I), 1986, 1990 (III) წლებში.

ამ ეტაპზე გამართა 54 თამაში: +31, = 12, — 11, 89-54

შვეიცარია

ფეხბურთის ასოციაცია ჩამოყალიბდა 1885 წელს, ფიფაშია 1904 წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ითამაშა 6-ჯერ: 1934, 1938, 1950, 1954, 1962, 1966 წლებში.

ამ ეტაპზე გამართა 18 თამაში: +5, = 2, — 11, 28-44.

ნორვეგია

საფეხბურთო კავშირი ჩამოყალიბდა 1902 წელს, ფიფაშია 1908 წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა 1938 წელს.

ამ ეტაპზე გამართა 1 თამაში: +0, = 0, — 1, 1-2.

ჰოლანდია

სამეფო საფეხბურთო კავშირი ჩამოყალიბდა 1889 წელს, ფიფაშია 1904 წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ითამაშა 5-ჯერ: 1934, 1938, 1974 (II), 1978 (II), 1990 წლებში.

ამ ეტაპზე გამართა 20 თამაში: +8, = 6, — 6, 35-23.

ირლანდია

ფეხბურთის ასოციაცია ჩამოყალიბდა 1921 წელს, ფიფაშია 1923 წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა 1990 წელს.

ამ ეტაპზე გამართა 4 თამაში: +0, = 3, — 1, 2-3.

ესპანეთი

ფეხბურთის ფედერაცია ჩამოყალიბდა 1905 წელს, ფიფაშია 1913 წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა 8-ჯერ: 1934, 1950 (IV), 1962, 1966, 1978, 1982, 1986, 1990 წლებში.

ამ ეტაპზე გამართა 32 თამაში: +13, = 7, — 12, 43-38.

ბელგია

საფეხბურთო საზოგადოებათა სამეფო კავშირი ჩამოყალიბდა 1896 წელს, ფიფაშია 1904 წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ითამაშა 8-ჯერ: 1930, 1934, 1938, 1954, 1970, 1982, 1906 (IV), 1990 წლებში.

ამ ეტაპზე გამართა 25 თამაში: +7, = 4, — 14, 33-49

რუმინეთი

ფეხბურთის ფედერაცია ჩამოყალიბდა 1908 წელს, ფიფაშია 1930 წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ითამაშა 5-ჯერ: 1930, 1934, 1938, 1970, 1990 წლებში.

ამ ეტაპზე გამართა 12 თამაში: +3, = 3, — 6, 16-20.

საბერძნეთი

ფეხბურთის ფედერაცია ჩამოყალიბდა 1936 წელს, ფიფაშია 1927 წლიდან.

ფინალურ ეტაპზე გამოდის პირველად.

რუსეთი

რუსეთის საფეხბურთო კავშირი ჩამოყალიბდა 1912 წელს, ფიფაშია იმავე წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამოდის პირველად.

სსრ კავშირის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ითამაშა 7-ჯერ: 1958, 1962, 1966 (IV), 1970, 1982, 1986, 1999 წლებში.

ამ ეტაპზე გამართა 31 თამაში: +15, = 6, — 10, 53-34.

შვეიცია

საფეხბურთო კავშირი ჩამოყალიბდა 1904 წელს, ფიფაშია იმავე წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ითამაშა 8-ჯერ: 1934, 1938, (IV), 1950 (III), 1958 (II), 1970, 1974, 1978, 1990 წლებში.

ამ ეტაპზე გამართა 31 თამაში: +11, = 6, — 14, 51-52.

ბულგარეთი

ფეხბურთის ფედერაცია ჩამოყალიბდა 1923 წელს, ფიფაშია 1924 წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ითამაშა 5-ჯერ: 1962, 1966, 1970, 1974, 1986 წლებში.

ამ ეტაპზე გამართა 16 თამაში: +0, = 6, — 10, 11-35.

კოლუმბია

ფეხბურთის ასოციაცია ჩამოყალიბდა 1924 წელს, ფიფაშია 1931 წლიდან. მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ითამაშა ორჯერ: 1902 და 1990 წლებში.

ამ ეტაპზე გამართა 7 თამაში: +1, = 2, — 4, 9-15.

არგენტინა

საფეხბურთო ასოციაცია ჩამოყალიბდა 1893 წელს, ფიფაშია 1912 წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ითამაშა 10-ჯერ: 1930 (II), 1934, 1958, 1962, 1966, 1974, 1978 (I), 1982, 1986 (I), 1990 (II) წლებში.

ამ ეტაპზე გამართა 48 თამაში: +24, = 9, — 15, 82-59.

ბრაზილია

საფეხბურთო კონფედერაცია ჩამოყალიბდა 1914 წელს, ფიფაშია 1923 წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ითამაშა 14-ჯერ: 1930, 1934, 1938 (III), 1950 (II), 1954, 1958 (I) 1962 (I), 1966, 1970 (I), 1974 (IV), 1978 (III), 1982, 1986, 1990 წლებში.

ამ ეტაპზე გამართა 66 თამაში: +44, = 11, — 11, 148-65.

ბოლივია

ფეხბურთის ფედერაცია ჩამოყალიბდა 1925 წელს, ფიფაშია 1926 წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ითამაშა ორჯერ: 1930 და 1950 წლებში.

ამ ეტაპზე გამართა სამი თამაში: +0, = 0, — 3, 0-16

მექსიკა

ფეხბურთის ფედერაცია ჩამოყალიბდა 1927 წელს, ფიფაშია 1929 წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ითამაშა 9-ჯერ: 1930, 1950, 1954, 1958, 1962, 1966, 1970, 1978, 1986 წლებში.

ამ ეტაპზე გამართა 29 თამაში: +6, = 6, — 17, 27-64

კამერუნი

ფეხბურთის ფედერაცია ჩამოყალიბდა 1960 წელს, ფიფაშია 1962 წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ითამაშა ორჯერ: 1982 და 1990 წლებში.

ამ ეტაპზე გამართა 8 თამაში: +3, = 3, — 2, 8-10.

ნიგერია

საფეხბურთო ასოციაცია ჩამოყალიბდა 1945 წელს, ფიფაშია 1959-წლიდან. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამოდის პირველად.

მაროკო

ფეხბურთის ფედერაცია ჩამოყალიბდა 1955 წელს, ფიფაშია 1956 წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ითამაშა ორჯერ: 1970 და 1986 წლებში.

ამ ეტაპზე ითამაშა 7-ჯერ: +1, = 3, — 3, 5-8

საუდის არაბეთი

ფეხბურთის ფედერაცია ჩამოყალიბა 1959 წელს, ფიფაშია იმავე წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამოდის პირველად.

სამხრეთ კორეა

ფეხბურთის ასოციაცია ჩამოყალიბდა 1928 წელს, ფიფაშია 1948 წლიდან.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე ითამაშა 3-ჯერ: 1954, 1986, 1990 წლებში.

ამ ეტაპზე გამართა 8 თამაში: +0, = 1, — 7, 5-29.

დიდი საფეხბურთო ზეიმი!

(დასასრული)

დეს, ლამაზ, დაუვიწყარ დღესასწაულად გვევლინება, მას განუმეორებელი, შეუდარებელი სილამაზე და მომხიბლაობა ახლავს თან.

სწორედ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალებზე იხილა და შეიგრძნო საერთაშორისო ფეხბურთმა ოდესღაც ურუგვაელთა ათლეტური ვირტუოზობა, ბრაზილიელთა ოთხი მცველის სისტემა და საარაკო ოსტატობა, ინგლისელთა უფლანგო თამაში მინდვრის სიღრმეში, ჰოლანდიელთა ტოტალური ფეხბურთი, გერმანელთა რაციონალური, გამობრძმედილი სტილი, არგენტინელთა მძლავრი ექსპანსია და სხვა მრავალი, სხვა უცხო საფეხბურთო შედევრი. სწორედ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალებში გამობრწყინდა ოდესღაც დიდი ბრაზილიელების ზიზინიოს, დიდის, პელეს, გარინჩას, სოკრატესის, ურუგვაელების, ანდრადეს, სკიაფინოს, ჰოლანდიელი კრუიფის, არგენტინელების სტაბილეს, სივორის, მარადონას, იტალიელების პიოლას, მეაცას, სკილაჩის, ინგლისელების ჩარლტონის, მურის, გერმანელების ზეელერის, ბეკენბაუერ ის, მიულერის, ფრანგების ფოსტუნისა და კოპას, უნგრელების პუშკაშისა და კოჩიშის და სხვათა და სხვათა მრავალთა ბრწყინვალე სახელები.

მსოფლიოს ჩემპიონატებში საქართველოს ფეხბურთელებსაც მრავალგზის უთამაშიათ (მათი სია დღეს მოგვყავს). არც ეს სარბიელია მათთვის უცხო ხილი, ამ მოთამაშეთა სახელებიც კარგად ცნობილია საერთაშორისო ფეხბურთში, მაგრამ უწინ ყოველივე ეს ხდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, ამ ქვეყნის სახელით, კონკრეტულად კი ჩვენ არ ვჩანდით, ფაქტიურად არავინ გვიცნობდა.

ახლა საქართველო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სრულუფლებიანი წევრია, მას უფლება აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით მიიღოს მონაწილეობა შემდგომი, 1998 წლის საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატში. ჩვენთვის ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა იქნება. მისთვის აქედანვე საგულდაგულოდ, რიგიანად უნდა ვემზადოთ, საქმე დიდად საპატიო და პრესტიჟულია. საქართველო ნაღდი საფეხბურთო ქვეყანა ცახლავთ, ფეხბურთი გვასულდგმულებს და ვალდებულიც ვართ ეს საპატიო ალამი ზეაღმართული გვეჭიროს. საქართველო იტყვის თავის ავტორიტეტულ სიტყვას საერთაშორისო სარბიელზე.

— არ ვიცი მე თქვენი „დიკაია როზა“.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲙᲣᲪᲘᲐᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ.

ᲓᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ

I ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ:
ლოს-ანჯელესი („როუზ ბოულის“ სტადიონი), სან-ფრანცისკო („სტენფორდი“), დეტროიტი („სილვერდომი“).

„A“ ᲯᲒᲣᲤᲘ.
აშშ, შვეიცარია, კოლუმბია, რუმინეთი.

18 ივნისი.	აშშ — შვეიცარია	დეტროიტი
	კოლუმბია — რუმინეთი	ლოს-ანჯელესი
22 ივნისი.	აშშ — კოლუმბია	ლოს-ანჯელესი
	რუმინეთი — შვეიცარია	დეტროიტი
26 ივნისი.	აშშ — რუმინეთი	ლოს-ანჯელესი
	შვეიცარია — კოლუმბია	სან-ფრანცისკო

„B“ ᲯᲒᲣᲤᲘ.
ბრაზილია, რუსეთი, კამერუნი, შვეიცია

19 ივნისი.	კამერუნი — შვეიცია	ლოს-ანჯელესი
20 ივნისი.	ბრაზილია — რუსეთი	სან-ფრანცისკო
	რუსეთი — შვეიცია	დეტროიტი
28 ივნისი.	რუსეთი — კამერუნი	სან-ფრანცისკო
	ბრაზილია — შვეიცია	დეტროიტი

II ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ.
ჩიკაგო („სოლ ვერ ფილო“), დალასი („კოტონ ბოული“), ბოსტონი („ფენბორო სტედიუმი“)

„C“ ᲯᲒᲣᲤᲘ.
გერმანია, ბოლივია, ესპანეთი, კორეა

17 ივნისი.	გერმანია — ბოლივია	ჩიკაგო
	ესპანეთი — კორეა	დალასი
21 ივნისი.	გერმანია — ესპანეთი	ჩიკაგო
23 ივნისი.	კორეა — ბოლივია	ბოსტონი
27 ივნისი.	ბოლივია — ესპანეთი	ჩიკაგო
	გერმანია — კორეა	დალასი

„D“ ᲯᲒᲣᲤᲘ.
არგენტინა, საბერძნეთი, ნიგერია, ბულგარეთი

21 ივნისი.	არგენტინა — საბერძნეთი	ბოსტონი
	ნიგერია — ბულგარეთი	დალასი
25 ივნისი.	არგენტინა — ნიგერია	ბოსტონი
26 ივნისი.	ბულგარეთი — საბერძნეთი	ჩიკაგო
30 ივნისი.	საბერძნეთი — ნიგერია	ბოსტონი
	არგენტინა — ბულგარეთი	დალასი

III ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ.
ნიუ-იორკი, ნიუ-ჯერსი, „ჯაინტსი“, ორლანდო („საიტრეს ბოული“), ვაშინგტონი („ჯ. ფ. კენედი“).

„E“ ᲯᲒᲣᲤᲘ.
იტალია, ირლანდია, ნორვეგია, მექსიკა

18 ივნისი.	იტალია — ირლანდია	ნიუ-იორკი
19 ივნისი.	ნორვეგია — მექსიკა	ვაშინგტონი
23 ივნისი.	იტალია — ნორვეგია	ნიუ-იორკი
24 ივნისი.	მექსიკა — ირლანდია	ორლანდო
28 ივნისი.	ირლანდია — ნორვეგია	ნიუ-იორკი
	იტალია — მექსიკა	ვაშინგტონი

„F“ ᲯᲒᲣᲤᲘ.
ბელგია, მაროკო, ჰოლანდია, საუდის არაბეთი

19 ივნისი.	ბელგია — მაროკო	ორლანდო
20 ივნისი.	ჰოლანდია — ს. არაბეთი	ვაშინგტონი
25 ივნისი.	ს. არაბეთი — მაროკო	ნიუ-იორკი
	ბელგია — ჰოლანდია	ორლანდო
29 ივნისი.	მაროკო — ჰოლანდია	ორლანდო
	ბელგია — ს. არაბეთი	ვაშინგტონი

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: მეორე ეტაპის (მერვედფინალი) შეხვდრათა კალენდარი გამოქვეყნდება პირველი ეტაპის გამარჯვებულთა გამოვლენის შემდეგ.

№	A ჯგუფი	1	2	3	4
1	აშშ		-	-	-
2	შვეიცარია	-		-	+1=2-2 4-6
3	კოლუმბია	-	-		-
4	რუმინეთი	-	+2=2-1 6-4	-	

№	B ჯგუფი	1	2	3	4
1	ბრაზილია		+2=0-0 4-1	-	+4=1-0 19-7
2	რუსეთი (სსრკ)	+0=0-2 1-4		+1=0-0 4-0	+0=0-1 0-2
3	კამერუნი	-	+0=0-1 0-4		-
4	შვეცია	+0=1-4 7-19	+1=0-0 2-0	-	

№	C ჯგუფი	1	2	3	4
1	გერმანია		-	+2=0-0 4-2	-
2	ბოლივია	-		-	-
3	ესპანეთი	+0=0-2 2-4	-		+1=0-0 3-1
4	სამხ. კორეა	-	-	+0=0-1 1-3	

№	D ჯგუფი	1	2	3	4
1	არგენტინა		-	-	+2=0-0 3-0
2	საბერძნეთი	-		-	+1=0-1 1-4
3	ნიგერია	-	-		-
4	ბულგარეთი	+0=0-2 0-3	+1=0-1 4-1	-	

№	E ჯგუფი	1	2	3	4
1	იტალია		+1=0-0 1-0	+1=0-0 2-1	+1=0-0 4-1
2	ირლანდია	+0=0-1 0-1		+0=2-2 5-7	-
3	ნორვეგია	+0=0-1 1-2	+2=2-0 7-5		-
4	მექსიკა	+0=0-1 1-4	-	-	

№	F ჯგუფი	1	2	3	4
1	ბელგია		-	+2=3-5 6-13	-
2	მაროკო	-		-	-
3	ჰოლანდია	+5=3-2 13-6	-		-
4	საუდის არაბეთი	-	-	-	

ᲪᲮᲠᲘᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ცხრილის უჯრებში ჩაწერილია კონკრეტული გუნდების ერთმანეთთან შეხვედრების შედეგები მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე.

ᲑᲝᲚᲝ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეებმა გამართეს ბოლო საწვრთნელ-საკონტროლო შეხვედრები, გთავაზობთ ზოგიერთი მათგანის შედეგებს:

გერმანია — ირლანდია 1-2, იტალია — შვეიცარია 1-0, ესპანეთი — ფინეთი 2-0, რუმინეთი — სლოვენეთი 0-0, აშშ — მექსიკა 1-0, კანადა — ბრაზილია 1-1, ბელგია — ზამბია 9-0, კანადა — მაროკო 1-1, კოლუმბია — საბერძნეთი 2-0.

ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲣᲢᲡᲐᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ

მსოფლიოს XV საფეხბურთო ჩემპიონატი, ცხადია, საყოველთაო ინტერესს იწვევს ყველა ქვეყანაში დიდი ხანია იმართება საერთაშორისო კონკურსები, ლატარიები, ანკეტები, ბუკმეკერები გაცხარებულ საქმიანობაში არიან.

სპორტულ ჟურნალისტთა ერთ-ერთი გამოკითხვისას პროგნოზისტთა უმეტესობამ მომავალი შეჯიბრების ფავორიტად ბრაზილიის ნაკრები აღიარა, ჩემპიონატის სავარაუდო ლიდერთა შორის დაასახელეს, აგრეთვე, გერმანია, არგენტინა, იტალია და სხვანი, მაგრამ არსად, არავის ერთი სიტყვითაც კი არ უხსენებია რუსეთის ნაკრები, რომელმაც „მემკვიდრეობით“ მიიღო ყოფილი საბჭოთა კავშირის გუნდის ადგილი შესარჩევი ტურნირის ციკლში. ეს მით უფრო გასაგებია, რომ რუსეთის ნაკრებში გარდა იმისა, რომ იგი წმინდა სპორტული თვალსაზრისით ახლა სუსტი გუნდია, კარგა ხანია მწვავე კონფლიქტები ხდება ცალკე წამყვან ფეხბურთელთა და ცალკე მთავარ მწვრთნელს პ. სადირინსა და რუსეთის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელობას შორის. ამიტომაც სრულ გაუგებრობას იწვევს საფეხბურთო კავშირის ზოგიერთი ხელმძღვანელის ყოვლად გაუმართლებელი და გულუბრყვილო განცხადება იმის თაობაზე, რომ ეს, თითქოს, სასარგებლოც კია რუსეთის ნაკრებისათვის, ვინაიდან, რადგან იგი ფავორიტებს არ მიაკუთვნეს და აუტსაიდერად მიიჩნიეს, მეტოქეები მას ზერელედ, აგდებულად მოეკიდებიან, არასერიოზულად ეთამაშებიან და ამიტომაც დაზარალდებიან კიდეც.

პრიმიტიული მოსაზრება გახლავთ! ჯერ ერთი, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში არასერიოზულად და აგდებულად არავის ეპყრობიან, ბრძოლა ყოველ მატჩში უკიდურესად დაძაბული, შეუპოვარია, და მეორეც — აუტსაიდერთა რიგებში რუსეთის გარდა მომავალ ფინალურ ეტაპზე იმყოფებიან ნორვეგია, ირლანდია, საბერძნეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, კოლუმბია, ბოლივია, კამერუნი, ნიგერია, მაროკო, საუდის არაბეთი, სამხრეთ კორეა... გამოდის, რომ ამათაც დიდი იმედი უნდა ჰქონდეთ, არიჭა, სუსტებად მიგვიჩნევენ, არასერიოზულად მოგვეპყრობიან და ჩვენი კოზირიც სწორედ ეგ არისო.

საინტერესო დეტალი: რუსეთის ნაკრების ფეხბურთელებს, თუ ისინი წარმატებას მიაღწევენ მსოფლიო ჩემპიონატში, თითოეულს 975 ათას დოლარს დაპირდნენ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲖᲔ

ქართველი ფეხბურთელები არაერთხელ გამოსულან დიდ საერთაშორისო ასპარეზზე, კერძოდ, მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ სტადიაზე მაშინდელი პრესტიჟული გუნდის სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში.

1962 წელი. ჩილე

სსრ კავშირი — იუგოსლავია 2-0. ს. მეტრეველი, მ. მესხი.

სსრ კავშირი — კოლუმბია 4-4. გ. ჩოხელი, მ. მესხი.

სსრ კავშირი — ურუგვაი 2-1 გ. ჩოხელი.

ჩილე — სსრ კავშირი 2-1 (მეოთხედფინალი). გ. ჩოხელი, მ. მესხი.

მთავარი მწვრთნელი გ. კაჩალინი.

1960 წელი, ინგლისი

სსრ კავშირი — კორეის სახ. დემოკრ. რესპ. 3-0. ა. კავაზაშვილი, მ. ხურცილავა, გ. სიჭინავა.

სსრ კავშირი — იტალია 1-0 მ. ხურცილავა.

სსრ კავშირი — ჩილე 2-1. ა. კავაზაშვილი, ს. მეტრეველი.

პორტუგალია — სსრ კავშირი 2-1 (მატჩი III ადგილისთვის). მ. ხურცილავა, გ. სიჭინავა, ს. მეტრეველი.

მთავარი მწვრთნელი ნ. მოროზოვი.

1970 წელი, მექსიკა

მექსიკა — სსრ კავშირი 0-0, ა. კავაზაშვილი, კ. ასათიანი, გ. ნოდია.

სსრ კავშირი — ბელგია 4-1. ა. კავაზაშვილი, რ. ძოძუაშვილი, კ. ასათიანი, მ. ხურცილავა.

სსრ კავშირი — სალვადორი 2-0. ა. კავაზაშვილი, რ. ძოძუაშვილი, მ. ხურცილავა, კ. ასათიანი.

ურუგვაი — სსრ კავშირი 1-0. (0-0, 0-0, დამატებით დროში). ა. კავაზაშვილი, რ. ძოძუაშვილი, მ. ხურცილავა, კ. ასათიანი.

მთავარი მწვრთნელი გ. კაჩალინი.

1982 წელი, ესპანეთი

ბრაზილია — სსრ კავშირი 2-1. თ. სულაქველიძე, ა. ჩივაძე, რ. შენგელია, ვ. დარასელია.

სსრ კავშირი — ახალი ზელანდია 3:0. თ. სულაქველიძე, ა. ჩივაძე, ვ. დარასელია, რ. შენგელია.

სსრ კავშირი — შოტლანდია 2-2. თ. სულაქველიძე, ა. ჩივაძე, რ. შენგელია.

სსრ კავშირი — ბელგია 1-0 (მეორე ეტაპი, „ა“ ჯგუფი). ა. ჩივაძე, ვ. დარასელია, რ. შენგელია.

სსრ კავშირი — პოლონეთი 0-0. ა. ჩივაძე, თ. სულაქველიძე, ვ. დარასელია, რ. შენგელია.

მთავარი მწვრთნელი კ. ბესკოვი, უფროსი მწვრთნელები ნ. ახალკაცი, ვ. ლობანოვსკი.

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲔᲑᲘ

1. 1930 წ. (ურუგვაი). ურუგვაი, არგენტინა, აშშ.
2. 1934 წ. (იტალია). იტალია, ჩეხოსლოვაკია, გერმანია.
3. 1938 წ. (საფრანგეთი). იტალია, უნგრეთი, ბრაზილია.
4. 1950 წ. (ბრაზილია). ურუგვაი, ბრაზილია, შვეცია.
5. 1954 წ. (შვეიცარია). გფრ, უნგრეთი, ავსტრია.
6. 1958 წ. (შვეცია). ბრაზილია, შვეცია, საფრანგეთი.
7. 1962 წ. (ჩილე). ბრაზილია, ჩეხოსლოვაკია, ჩილე.
8. 1966 წ. (ინგლისი). ინგლისი, გფრ, პორტუგალია.
9. 1970 წ. (მექსიკა). ბრაზილია, იტალია, გფრ.
10. 1974 წ. (გფრ). გფრ, ჰოლანდია, პოლონეთი.
11. 1978 წ. (არგენტინა). არგენტინა, ჰოლანდია, ბრაზილია.
12. 1962 წ. (ესპანეთი). იტალია, გფრ, პოლონეთი.
13. 1986 წ. (მექსიკა). არგენტინა, გფრ, საფრანგეთი.
14. 1990 წ. (იტალია). გფრ, არგენტინა, იტალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

32 ფინალისტი — ნაცვლად 24-სა

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე, შესარჩევი მატჩების დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა პერიოდში გუნდების განსხვავებული რაოდენობა გამოდიოდა. კარგა ხანს მათი რიცხვი 16 იყო, შემდეგ 24-მდე გაიზარდა, ახლა კი ახალი პრობლემა წარმოიშვა. ფეხბურთი სულ უფრო პოპულარული ხდება, წინაურდებიან ახალი გუნდები, რომელთაც უწინ თითქმის არავითარი წონა არ ჰქონდათ საერთაშორისო ასპარეზზე, ამიტომაც საჭირო შეიქნა გათამაშების ახალი ფორმულის შემუშავება.

და, აი, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ შემდგომი ჩემპიონატიდან, რომელიც 1998 წელს გაიმართება საფრანგეთში, ფინალურ ეტაპზე გამოვა არა 24, არამედ 32 გუნდი.

ყველაფერი რობერტო ბაჯოს შესახებ

შარშანდელი წლის მიწურულს ექსპერტებმა მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელად თითქმის ერთხმად აღიარეს იტალიელი რობერტო ბაჯო.

დღეს გთავაზობთ სტატისტიკურ მონაცემებს ამ გამოჩენილი ოსტატის შესახებ. დაიბადა 1967 წლის 18 თებერვალს კალდონიოში (ვიჩენცას ახლოს), ჰყავს 8 ძმა და და. სიმაღლე 174 სმ, წონა — 72 კგ, ჰყავს ცოლი და 3 წლის ქალიშვილი. სარწმუნოება — ბუდიზმი (!). 1990 წელს „ფიორენტინიდან“ გადავიდა ტურინის „იუვენტუსში“, რომელმაც მის საფასურად სარეკორდო თანხა გადაიხადა — 26 მილიონი დოლარი. რ. ბაჯო „იუვენტუსში“ ყოველწლიურად 2 მილიონ დოლარს იღებს.

იტალიის ჩემპიონატებში მონაწილეობს 1982-83 წლის სეზონიდან. ამ პირველ სეზონში „C-I“ სერიაში (იტალიის ჩემპიონატის მესამე ჯგუფი) „ვიჩენცას“ შემადგენლობაში ერთი მატჩი ითამაშა, მომდევნო სეზონის 6 მატჩში 1 გოლი გაიტანა. 1984-85 წლის სეზონში იმავე გუნდში — 29 მატჩში გაიტანა 12 გოლი.

1985-86 წლის სეზონში „სერია A“-ს ბინადარ „ფიორენტინაში“ გადავიდა. მომდევნო სეზონში ითამაშა 5 მატჩი და გაიტანა 1 გოლი, 1987-88 წლის სეზონში — 27 მატჩი და 6 გოლი, 1988-89 წელს — 30 მატჩი და 15 გოლი (მეოთხე ადგილი სნაიპერთა შორის), 1989-90 წელს — 32 მატჩი და 17 გოლი (მეორე — სნაიპერთა შორის). 1990 წელს ტურინის „იუვენტუსში“ გადავიდა, 1990-91 წელს — 33 მატჩი და 14 გოლი (მეხუთე — სნაიპერთა შორის), 1991-92 წელს — 32 მატჩი და 18 გოლი (მეორე-სნაიპერთა შორის), 1992-93 წელს — 27 მატჩი და 21 გოლი (მეორე — სნაიპერთა შორის), 1993-94 წელს (პირველი წრის შემდეგ) — 14 მატჩი და 9 გოლი (მესამე — სნაიპერთა შორის). სულ 200 მატჩში გაიტანა 101 გოლი.

ევროპული თასები. 1986-87 წ. უეფას თასზე „ფიორენტინას“ შემადგენლობაში ითამაშა 1 მატჩი; 1989-90 წ. უეფას თასზე „ფიორენტინას“ შემადგენლობაში ითამაშა 12 მატჩი და გაიტანა 1 გოლი. 1990-91 წ. „იუვენტუსის“ შემადგენლობაში თასების თასზე — 8 მატჩი და გაიტანა 9 გოლი (ამ გათამაშების საუკეთესო შედეგი). 1992-93 წ. — უეფას თასზე — 11 მატჩი და 6 გოლი, 1993-94 წ. უეფას თასზე — 8 მატჩი და 3 გოლი. სულ 37 მატჩში გაიტანა 19 გოლი.

იტალიის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა 1986 წლის 16 ნოემბერს ჰოლანდიის გუნდის წინააღმდეგ (1-0). 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშა 5 მატჩი და გაიტანა 2 გოლი. სულ ნაკრებში ითამაშა 32 მატჩი და გაიტანა 9 ბურთი. ეს მერვე შედეგი გახლავთ იტალიის „სკუადრა აძურას“ არსებობის მანძილზე.

წოდებები და მიღწევები. 1990 წ — უეფას თასის ფინალისტი, მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი. მოიპოვა ჟურნალ „გუერინ სპორტივოს“ პრიზი „ბრავო“, რომელიც ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელს (23 წლამდე) ენიჭება. 1991 წ. — თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალისტი. 1992 წ. — იტალიის ვიცეჩემპიონი, 1993 წ. — უეფას თასის მფლობელი, მსოფლიოს №1 ფეხბურთელი „უორლდ სოკერის“ კონკურსის შედეგად, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ფიფას ექსპერტების (ნაკრებთა მწვრთნელების) გამოკითხვის შედეგად. „ფრანს ფუტბოლის“ პრიზ „ოქროს ბურთის“ ლაურეატი, როგორც ევროპის №1 ფეხბურთელი.

გადატანილი ოპერაციები. 1982 წ. — მენისკის (მუხლისთავის) ოპერაცია მარცხენა მუხლზე — 1985 წ. — ოპერაცია მარჯვენა მუხლზე (ძარღვების გაწყვეტის გამო), 1986 წ. — მენისკის ოპერაცია მარჯვენა მუხლზე.

მოამზადა ბიმი თორელმა

ლუდვიგ ხარტიშვილი



სპორტულმა საზოგადოებამ, ჭიდაობის საძმომ კიდევ ერთი მოულოდნელი და გულდასაწყვეტი დანაკლისი განიცადა. 55 წლისა გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ლუდვიგ ხარტიშვილი, კაცი, რომელსაც უყვარდა საქმე, ახალგაზრდებთან მუშაობა და ბევრ მოჭიდავეს გაუკაფა გზა დიდი სპორტისკენ.

თავად ყაზბეგის რაიონიდან იყო. სნოში დაამთავრა საშუალო სკოლა, იქ დაიწყო ვარჯიში და იქიდან გაიწვიეს კიდეც ჯარში. სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ სწავლობდა საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, თანაც ვარჯიშობდა. ხულ მალე საქართველოს ჩემპიონი გახდა. იყო სპორტის ოსტატი, მოიგო რამდენიმე ძლიერი ტურნირი. პარალელურად ამზადებდა ახალგაზრდებს, აწრთობდა მომავალი დიდი გამოცდებისათვის. ლუდვიგ ხარტიშვილი წლების მანძილზე ამერკავკასიის შეიარაღებულ ძალთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყო, ნაყოფიერად საქმიანობდა საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც, რისთვისაც არაერთი კეთილი სიტყვა დაუმსახურებია.

უმწიკვლო, კეთილი და ალალ-მართალი კაცი დააკლდა ჩვენს სპორტულ სამყაროს, მეგობართა წრესა და ოჯახს.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია

საქართველოს რესპუბლიკის მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“.

სოსო გოგნაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი სამბოში და სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში, სსრ კავშირის ჩემპიონატების არაერთგზის პრიზიორი და თასის მფლობელი სოსო გოგნაძე.

დაიბადა **1950** წელს ხარაგაულის რაიონის სოფელ ჩრდილში. სპორტს ეზიარა თბილისში უშანგი ბარნაბიშვილის ხელმძღვანელობით. თავიდანვე გამოირჩეოდა სიბეჯითით, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით. სწორედ ამიტომ მიაღწია მალე წარმატებას თავისუფალ ჭიდაობაში. **1972** წელს ძალები მოსინჯა სამბოში და იქაც გარკვეულწილად გამოიჩინა თავი. გამოდიოდა სსრკ ნაკრების შემადგენლობაში, ფლობდა სხვადასხვა ხარისხისა და ღირსების მედლებს.

1975 წლიდან სასწავლებლად გადავიდა ტაშკენტში, სადაც დაამთავრა მილიციის უმაღლესი სკოლა. ინსტიტუტის შემდეგ საქმიანობა დაიწყო ორგანოებში, სადაც პატივისცემა და საყოველთაო ავტორიტეტი დაიმსახურა, სამსახურებრივ იერარქიაში მან მილიციის პოდპოლკოვნიკის წოდებას მიაღწია. სოსო გოგნაძე სიცოცხლის ბოლომდე ტაშკენტის პოლიციის სამძებრო განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

სამშობლოს მოცილებული განსაკუთრებულ სითბოსა და სიყვარულს იჩენდა ტაშკენტში ჩასული თანამემამულეებისადმი, იყო მათი მასპინძელი, კეთილი მეგზური და პატრონი. მეუღლე და ვაჟიშვილი ბოლოს და ბოლოს თბილისში დაამკვიდრა, თვითონაც აპირებდა ჩამოსვლას, მაგრამ ვერ აიხდინა დიდი ხნის ნატვრა. მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან და განუზომელი სევდა დაგვიტოვა.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია

პელე მსოფლიო ჩემპიონატის წინ...

გერმანულმა საფეხბურთო ჟურნალმა „კიკერმა“ ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის საუბარი ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელ პელესთან. თუმცა პელე დიდი ხანია გამოეთხოვა პრაქტიკულ საფეხბურთო საქმიანობას, მაგრამ მისი ავტორიტეტულ მოსაზრებანი მუდამ გამოირჩევა პროფესიული არგუმენტაციით, ორიგინალობით, მახვილგონიერებით. ამიტომაც ეს ინტერვიუც ფრიად საინტერესოა ფეხბურთის მოყვარულთათვის. გთავაზობთ პელესთან საუბრის ფრაგმენტებს.

კორესპონდენტის პირველი შეკითხვა გახლდათ: ვინ მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონობას ამერიკის შეერთებულ შტატებში?

— ღმერთმა მე ბევრი რამ მიწყალობა, როგორც ადამიანს, დიდად კმაყოფილი ვარ საკუთარი ცხოვრებით და თუ უზენაესი კიდევ ერთხელ შეისმენს ჩემს თხოვნას, ვევედრები, ჩემპიონობა ბრაზილიას არგუნოს. ჩვენ უკვე მეოთხედი საუკუნეა მსოფლიო ჩემპიონები არა ვყოფილვართ. მეტოქეები კი ძალზე ძლიერი გვყავს. ხომ ხედავთ რაც ხდება საერთაშორისო ფეხბურთში, ამერიკის ფინალურ ეტაპზე ინგლისიც კი ვერ მოხვდა.

თუმცა, უფალმა, შესაძლოა, გადაჭარბებულ უტიფრობად ჩამითვალოს ეს სურვილი. ჯერ ერთი, ფაქტია, სულ ახლახან სამხრეთ ამერიკის „ბ“ შესარჩევ ჯგუფში ბრაზილიელებმა ძლივს დააღწიეს თავი რთულ პრობლემებს და გაჭირვებით მოიპოვეს ფინალის საგზური; მეორეც — ბრაზილიის ნაკრებში აღარ არიან დიდი, გარინჩა, სანტოსები, ბელინი, ვავა, ჟილმარი, ზაგალო, ამარილდო, გერსონი, სოკრატესი, ტოსტაო და სხვანი და სხვანი.

ფეხბურთი სულ უფრო ვითარდება და მიდის წინ, ინერგება ახალი წესები. ხომ ნახეთ რა კარგი შედეგი მოგვცა ახალმა წესმა, როცა მეკარისთვის უკან ბურთის ფეხით მიწოდება აიკრძალა. მე იმის მომხრეც ვარ აიკრძალოს „ცოცხალი კედლის“ აღმართვა საჯარიმო დარტყმებისას, საჯარიმო მოედანზე თავისუფალი დარტყმა შეიცვალოს 11-მეტრიანით, ხოლო აუტიდან ბურთის ხელით შემოგდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვროს საკუთრივ მოთამაშის სურვილით: გინდა ხელით შემოაგდოს, გინდა ფეხით გაითამაშოს.

ძალიან მაწუხებს ძველი ფეხბურთელების ბედი მას შემდეგ, რაც ისინი ტოვებენ მწვანე მინდორს. თვით ფრანც ბეკენბაუერსაც გაუჭირდა ფეხბურთში მუშაობა, ის რომ ბრაზილიაში ყოფილიყო, წაგებებს არავინ აპატიებდა. საკმარისია ორი-სამი მარცხი და შენს ძველ დამსახურებებს ბრაზილიელი გულშემტკივრები და კონფედერაცია არც გაიხსენებს, მოგხსნიან წამსვე და „პერსონა ნონ გრატად“ გამოგაცხადებენ. ბეკენბაუერს კი აცალეს მუშაობა და მან გაამართლა კიდეც.

ედისონ არანტეს დო ნასიმენტო (პელე).

●

თქვენ გაინტერესებთ რატომ მეძახიან პელეს? დაბადებისას მამამ შემარქვა ედისონი, გენიალური ამერიკელი გამომგონებლის თომას ალვა ედისონის საპატივცემლოდ. მე ვამაყობდი ამ სახელით. ერთხელ, ბავშვობაში, თამაშის დროს, მეზობლის ბიჭმა „პელე“ დამიძახა, მას მეორე მოჰყვა, მესამე, დანარჩენებსაც მოეწონათ ეს სახელი და მეც მერე პელე გავხდი. რახან შემარქვა, შევეჩვიე.

— რას იტყვით მარადონაზე, მის რეგრესზე?

— მას გონება აებნა და, რაც მთავარია, ძალიან ცუდ გარემოცვაში მოხვდა!

— თქვენი კუმირები?

— ჩემი კუმირი იყო ზიზინიო, 40-50-იანი წლების უდიდესი ბრაზილიელი ფეხბურთელი. ისე კი, საერთოდ, გამოჩენილი ფეხბურთელი ქვეყანაზე ბევრია, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

მსოფლიო ჩემპიონატი ტელეეკრანზე

„ოსტანკინო“

17. ივნისი. 22.10 მსოფლიო ჩემპიონატის დღიური. 22.20. მსოფლიო ჩემპიონატის საზეიმო გახსნა. 23.05. გერმანია — ბოლივია.

18 ივნისი. 21.45. აშშ — შვეიცარია. 23.55. იტალია — ირლანდია.

19 ივნისი. 22.45. „გოლი“. 0.30. ბელგია — მაროკო.

„რუსია“

18 ივნისი. 12.00. ესპანეთი — კორეა.

19 ივნისი. 15.35. კოლუმბია — რუმინეთი. 23.55. ნორვეგია — მექსიკა.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ნბა-ს ახალი ამბები

● ჯას შემდეგ, რაც „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ მწვრთნელად დანიშნეს მეჯიკ ჯონსონი, პოპულარულმა კლუბმა ხუთი რიგითი შეხვედრა მოიგო, მაგრამ ზედიზედ ექვს მატჩში დამარცხდა და პოლოს 19 წლის მანძილზე პირველად ვერ მოხვდა თექვსმეტ უძლიერეს კლუბს შორის. ამის შემდეგ მეჯიკმა გადწყვიტა გუნდიდან წასვლა, მაგრამ როგორც თვითონ განაცხადა, ამ მოულოდნელი მარცხის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ვერც ფიზიკურად და ვერც ფსიქოლოგიურად ვერ უძლეს დატვირთვებს.

● მეჯიკის გუნდიდან წასვლის შემდეგ „ლეიკერსის“ მწვრთნელი შეიძლება გახდეს ამ კლუბის ყოფილი ვარსკვლავი ქარიმ აბდულ-ჯაბარი. მეორე კანდიდატია კენტუკის უნივერსიტეტის მწვრთნელი რიკ პიტინო, რომელმაც ერთხელ უკვე სცადა თავისი ძალა „ნიუიორკში“, „ატლანტასა“, „ლიპერსში“, მაგრამ ვერაფრით გამოიჩინა თავი.

● ნბა-ს სამგზის ჩემპიონი პორას გრანტი („ჩიკაგო“) მომავალი წლიდან ალბათ „ორლანდო მეჯიკში“ ითამაშებს. ყოველ შემთხვევაში ამ კლუბის სუპერცენტრის მაკილ ონილის კატეგორიული მოთხოვნაა, რომ გვერდში ჰყავდეს ერთი გრანტის მსგავსი თავდამსხმელი. თავად პორასი მაღალი აზრისაა ამ ახალგაზრდულ კლუბზე და მას დიდ მომავალს უნინასწარმეტყველებს.

● შარშან ფლორიდის შტატის ტამპას ადმინისტრაციამ ნბა-ში 100 ათასი დოლარი შეიტანა იმისათვის, რომ მიელო ლიგაში ერთი გუნდის გაყვანის უფლება, მაგრამ ნბა-ს ხელმძღვანელობამ ნბა-ს გაზრდა კანადის ტორონტოს ხარჯზე გადაწყვიტა, ამიტომაც ტამპას თავისი 100 ათასი დოლარი დაუბრუნა.

● „ფილადელფიის“ ახალბედა მოთამაშეს შონ ბრედლის, რომელმაც გასულ თებერვალს მძიმე ტრავმა მიიღო და სეზონის ბოლომდე მწყობრიდან გამოვიდა, მკურნალობის ახალი ციკლი დაუნიშნეს, რომ როგორმე მოიმატოს წონა. ბრედლი 229 სანტიმეტრის სიმაღლისაა და იწონის მხოლოდ 95 კილოგრამს. შონს მეცადინეობას ჩაუტარებს გამოცდილი სპეციალისტი ლი პეინი, რომელმაც თავის დროზე დიდი დახმარება გაუწია და „ფეხზე დააყენა“ „ატლანტის“ მოთამაშე კევინ უელსი და დიდხანს ხელმძღვანელობდა მოკრივე ევანდერ ჰოლიფილდის მომზადებას.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამგიდო-კომპიუტერული სისტემით.

ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. ძანგოშვილი, ნ. რამიშვილი.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“